

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება უკრაინაში მიმდინარე მოვლენებზე

ჩვენ, არასამთავრობო ორგანიზაციები და საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, ღრმად ვართ შეშფოთებული იმ ძალადობის გამო, რაც თავისუფალი და ძლიერი სულისკვეთების მქონე უკრაინელი ხალხის წინააღმდეგ არის მიმართული, რომლებიც იცავენ ფუნდამენტურ უფლებებს, თავისუფლებას და უკრაინის ევროპულ მისწრაფებებს.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



უკრაინა და საქართველო ისტორიულად ევროპული ქვეყნები არიან, რომლებიც იზიარებენ ტრაგიკულ და ბრუტალ საბჭოთა ოკუპაციის ისტორიას. საერთო წარსული, მოგვინოდებს ჩვენ გავაერთიანოთ ძალები ჩვენი ქვეყნების ევროპული მომავლის დასაცავად. მოსკოვის პოზიცია უკრაინის ევროპული ინტეგრაციასთან მიმართებაში, კიდევ ერთხელ ადასტურებს რუსეთის ამბიციას, რომ შექმნას ახალი გამყოფი ხაზი ევროპაში. სწორედ ამიტომ, ჩვენ გვსურს, შევუერთდეთ ჩვენს უკრაინელ კოლეგებს იმის განცხადებაში, რომ რუსეთს არ უნდა მიეცეს საშუალება, შემოაბრუნოს ჩვენი ქვეყნების ევროპული გზა.

სოლიდარობის გამოცხადებასთან ერთად, ამ რთულ დროს, ჩვენ მზად ვართ შევთავაზოთ, ჩვენი პროფესიული და ინტელექტუალური დახმარება უკრაინის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, შემდეგი გზებით:

იჩვენი გამოცდილების და ცოდნის გაზიარება სხვადასხვა სფეროში,
ისაერთაშორისო კომუნიკაციაში ხელშეწყობა,
იიურიდიული ექსპერტიზის უზრუნველყოფა შესაბამის საკითხებზე,
იუკრაინული სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერა ყოველდღიური გამონვევების გადასაწყვეტად,
იარსებული პოლიტიკური კრიზისად, ცივილიზებულიად და მშვიდობიანად გამოსვლის გზების ძიებაში რჩევების მიცემა.

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ სოლიდარობა ამ ეტაპზე ევროპული ღირებულებების, თავისუფლების ღრმა რწმენის, მშვიდობისა და დემოკრატიის გამარჯვების საწინდარია.

განცხადებას ხელს აწერენ:

ორგანიზაციები:

საქართველოს რეფორმების ასოციაცია (GRASS),
საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI),
საქართველოს სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტი (FISS),
საერთაშორისო საზოგადოება თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნებისთვის (ISFED),
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA),
სამოქალაქო განვითარების სააგენტო (CiDa),
საერთაშორისო გამჭვირვალობა (TI),
კონსტიტუციის 42-ე მუხლი,
ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI),

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი (CIPDD),
სახალხო მოძრაობა ივერია, მედიის განვითარების ფონდი, ფონდი ALPE,
ევროპულ ღირებულებათა ქართული ინსტიტუტი (GIEV),
საქართველოს ატლანტიკური საბჭო, სამოქალაქო განლათლების ფონდი,
მედიაჰოლდინგი ტაბულა,
თბილისის პოლიტიკის ანალიზის ცენტრი,
პოლიტიკის შესწავლის საერთაშორისო ცენტრი,
თანამშრომლობა ადამიანთა უფლებებისთვის,
გაერთიანება საპარი, იდენტობა, ფსიქოტრამვების ქართული საზოგადოება.

პროფესიები:

თამარ გურჩიანი (იურისტი),
ნინია კაკაბაძე (ჟურნალისტი),
დათო ტურაშვილი (მწერალი),
ოთარ კახიძე (იურისტი),
ირაკლი აბსანძე (ჟურნალ ლიბერალის მთავარი რედაქტორი),
ნინო ბეკიშვილი (ჟურნალისტი),
ნინო მუსერიძე (Frontline Georgia Club),
გრიგოლ ვაშაძე (დიპლომატი),
იანა (დარეჯან) ჯავახიშვილი (ფსიგოლოგი),
ეკა კვესიტაძე (ჟურნალისტი),
ქეთი დევდარიანი (სცენარისტი),
გიორგი ლიფონავა (რეჟისორი),
მიშა მშვილდაძე (პროდიუსერი),
ზვიად გუმბარიძე (პროდიუსერი),
ლევან დამბაშიძე (GFSIS),
დავით პაიჭაძე (ჟურნალისტი),
ვატო ლეჟავა (კონსულტანტი).